საჩუქრად მიღებული ფული	14.3	10.2	15.4	12.0
არაფულადი შემოსავლები	23.4	24.4	19.1	23.5
შემოსავლები, სულ	126.9	127.0	137.8	136.2
სხვა ფულადი სახსრები	19.1	19.9	14.8	18.1
ქონების გაყიდვა	4.7	2.1	2.3	1.7
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	14.4	17.8	12.5	16.4
ფულადი სახსრები, სულ	122.6	122.5	133.4	130.8
ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ	146.0	146.9	152.5	154.3

წყარო: საქსტატი.

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზეც ზრდადობის ტენდენციით ხასიათდება. ამავდროულად უფრო მეტი შემოსავლები აქვთ იმ შინამეურნეობებს, რომელთა უფროსებსაც კაცები წარმოადგენენ. 2008 წელს იმ შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლები (ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ), რომელთა უფროსებსაც კაცები შეადგენდნენ, 34 პროცენტით მეტია იმ შინამეურნეობების შემოსავლებზე, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობდნენ, 2009 წელს ეს განსხვავება უმნიშვნელოდ შემცირდა და 32 პროცენტი შეადგინა. თუ შევხედავთ ერთ სულზე შემოსავლების დიაგრამას, შეიძლება დავასკვნათ, რომ შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით აქ შემოსავლები თითქმის თანაბარია.



წყარო: საქსტატი.



წყარო: საქსტატი.

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით

	2008		2009	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სამომხმარებლო ფულადი ხარჯები				
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	327.8	419.8	339.3	425.1
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	151.7	190.3	145.6	178.6
საოჯახო მოხმარების საქონელზე	14.7	19.7	14.0	18.3
ჯანმრთელობის დაცვაზე	11.5	14.7	11.1	13.9
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	30.0	40.5	40.9	49.2
ტრანსპორტზე	37.4	46.8	41.6	46.0
განათლება, კულტურასა და დასვენებაზე	26.2	37.6	21.5	40.3
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	13.4	13.0	14.5	17.0
არაფულადი ხარჯები	43.0	57.3	50.2	61.8
სამომხმარებლო ხარჯები, სულ	70.7	98.0	59.0	94.5
არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	398.5	517.9	398.3	519.6
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	55.0	82.9	58.2	83.6
ტრანსფერტებზე	6.7	11.0	5.9	10.1
დაზოგვაზე და გასესხებაზე	9.3	14.9	12.3	16.2
ქონების შეძენაზე	27.7	33.5	26.7	42.7
ქონების შეძენაზე	11.3	23.5	13.3	14.6
ფულადი ხარჯები, სულ	382.8	502.7	397.5	508.7
ხარჯები, სულ	453.5	600.8	456.5	603.2

წყარო: საქსტატი.


**საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ სულზე
შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით**

	2008		2009		ლარი
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	
სამომხმარებლო ფულადი ხარჯები					
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	108.4	104.3	110.1	105.7	
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	50.2	47.3	47.2	44.4	
საოჯახო მოხმარების საქონელზე	4.9	4.9	4.5	4.6	
ჯანმრთელობის დაცვაზე	3.8	3.6	3.6	3.5	
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	9.9	10.1	13.3	12.2	
ტრანსპორტზე	12.4	11.6	13.5	11.4	
განათლება, კულტურასა და დასვენებაზე	8.6	9.3	7.0	10.0	
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	4.4	3.2	4.7	4.2	
არაფულადი ხარჯები	14.2	14.2	16.3	15.4	
სამომხმარებლო ხარჯები, სულ	23.4	24.4	19.1	23.5	
არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	131.8	128.7	129.2	129.3	
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	18.2	20.6	18.9	20.8	
ტრანსფერტებზე	2.2	2.7	1.9	2.5	
დაზოგვაზე და გასესხებაზე	3.1	3.7	4.0	4.0	
ქონების შეძენაზე	9.2	8.3	8.6	10.6	
ფულადი ხარჯები, სულ	3.7	5.8	4.3	3.6	
ხარჯები, სულ	126.6	124.9	128.9	126.5	
ხარჯები, სულ	150.0	149.2	148.1	150.0	

წყარო: საქსტატი.


ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს შინამეურნეობებში უფრო მეტი ხარჯები აქვთ იმ შინამეურნეობებს, რომელთა უფროსს კაცები წარმოადგენენ. 2008 წელს ასეთი შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯები (ხარჯები, სულ) 32 პროცენტით მეტია იმ შინამეურნეობების ხარჯებზე, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობდნენ, 2009 წელს ეს განსხვავება ისევ უცვლელი დარჩა. თუ შევხედავთ ერთ სულზე ხარჯების დიაგრამას, შეიძლება დავასკვნათ, რომ სქესის მიხედვით აქ ხარჯები თითქმის თანაბარია.

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით (ლარი)



წყარო: საქსტატი.

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ სულზე შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით (ლარი)




წყარო: საქსტატი.

მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებლები შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით


	2008		2009	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	23.1	22.0	22.2	20.5
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	10.8	9.0	9.5	8.5

წყარო: საქსტატი.

მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით, %



მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით, %



დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	ლარი			
	2008		2009	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სულ	367.7	678.4	398.3	690.8
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, მეთევზეობა	265.3	308.5	249.6	268.7
სამთომშპოვებითი მრეწველობა	795.1	811.4	393.3	722.2
დამამუშავებელი მრეწველობა ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	679.1	766.7	724.6	786.7
მშენებლობა	515.2	602.6	453.7	637.9
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	399.2	601.9	407.5	603.5
სასტუმროები და რესტორნები	252.9	473.9	307.2	459.7
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	531.7	711.2	610.3	765.1
საფინანსო საქმიანობა	1 195.1	1 508.9	1 023.7	1 748.6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	423.8	597.3	478.2	730.7
სახელმწიფო მმართველობა	701.1	918.2	816.0	909.3
განათლება	232.4	286.3	255.9	320.2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	263.0	460.6	317.2	552.9
სხვა დარგები	338.1	482.7	357.6	465.3

წყარო: საქსტატი.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2009 წელს 2008 წელთან შედარებით ქალებში გაიზარდა 8.3 პროცენტით, ხოლო კაცებში - 1.8 პროცენტით. დაქირავებით დასაქმებული ქალების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკის ყველა დარგსა და ყველა სექტორში ნაკლებია დაქირავებით დასაქმებულ კაცთა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასზე.

ქალების ხელფასების თანაფარდობა კაცების ხელფასებთან მიმართებაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	პროცენტი	
	2008	2009
სულ	54.2	57.7
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, მეთევზეობა	86.0	92.9
სამთომშპოვებითი მრეწველობა	98.0	54.5
დამამუშავებელი მრეწველობა	60.5	65.4
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	88.6	92.1
მშენებლობა	85.5	71.1
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	66.3	67.5
სასტუმროები და რესტორნები	53.4	66.8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	74.8	79.8
საფინანსო საქმიანობა	79.2	58.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	71.0	65.4
სახელმწიფო მმართველობა	76.4	89.7
განათლება	81.2	79.9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	57.1	57.4
სხვა დარგები	70.0	76.8

წყარო: საქსტატი.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში

	ლარი					
	2007		2008		2009	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სახელმწიფო სექტორი	194.8	451.4	307.9	676.6	346.7	696.3
არასახელმწიფო სექტორი	328.1	496.9	475.6	680.2	482.0	685.9

წყარო: საქსტატი.


ბიზნეს სექტორი

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება საწარმოთა საკუთრების ფორმების მიხედვით, 2009 წელი

	დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი		შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო-სულ	151.5	235.9	391.7	634.2
კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)	89.4	154.6	354.1	565.0
კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)	20.2	39.6	747.1	932.2
სახელმწიფო	42.0	41.8	296.5	588.1

წყარო: საქსტატი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა საკუთრების ფორმების მიხედვით, 2009 წელი



წყარო: საქსტატი.


ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება საწარმოთა ზომების მიხედვით, 2009 წელი

	დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი		შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო-სულ	151.5	235.9	391.7	634.2
მსხვილი საწარმო	81.0	142.2	517.7	776.3
საშუალო საწარმო	35.0	43.2	270.9	432.0
მცირე საწარმო	35.5	50.5	196.4	334.3

წყარო: საქსტატი.

2009 წლის მონაცემების მიხედვით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულ კაცთა შრომის საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 634.2 ლარი შეადგინა, რაც 242.5 ლარით აღემატება დასაქმებულ ქალთა შესაბამის მაჩვენებელს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია მსხვილ საწარმოებში, სადაც კაცებისთვის 776.3 ლარს, ხოლო ქალებისთვის - 517.7 ლარს შეადგენს.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით, 2009 წელი



წყარო: საქსტატი.


სოფლის მეურნეობა

მეურნეობათა კლასიფიკაცია მეურნის ან მეურნეობის ხელმძღვანელის სქესის მიხედვით

	ათასი			
	2006	2007	2008	2009
სულ	800.0	800.0	815.0	815.0
მათ შორის:				
ქალი	235.0	240.0	250.0	275.0
კაცი	565.0	560.0	565.0	540.0

წყარო: საქსტატი.

მეურნეობათა კლასიფიკაცია მეურნის ან მეურნეობის ხელმძღვანელის სქესის მიხედვით




წყარო: საქსტატი.

მეურნეობათა კლასიფიკაცია მეურნის ან მეურნეობის ხელმძღვანელის სქესისა და ასაკის მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	ათასი					
	2008			2009		
	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი
<25	5.0	1.0	4.0	4.0	1.0	3.0
25-39	87.0	10.0	77.0	71.0	11.0	60.0
40-59	343.0	71.0	272.0	349.0	82.0	267.0
60+	380.0	169.0	211.0	391.0	181.0	210.0

წყარო: საქსტატი.



წყარო: საქსტატი.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის განაწილება მეურნის ან მეურნეობის ხელმძღვანელის სქესის მიხედვით

	პროცენტი					
	2007		2008		2009	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სულ მიწა (იჯარის ჩათვლით)	21.0	79.0	22.0	78.0	22.0	78.0
აქედან იჯარით აღებული	15.0	85.0	14.0	86.0	11.0	89.0

წყარო: საქსტატი.

დამუშავებული მიწის წილი სახნავ მიწასთან მიმართებაში მეურნის ან მეურნეობის ხელმძღვანელის სქესის მიხედვით

	პროცენტი					
	2007		2008		2009	
	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი
	63.0	56.8	65.3	71.0	62.2	73.6
	69.0	63.7	71.1			

წყარო: საქსტატი.

სამართალდარღვევები

მსჯავრდადებულთა რაოდენობა დანაშაულის სახეების მიხედვით

	ერთეული			
	2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
მსჯავრდადებულთა, სულ	1 083	17 271	1 426	18 514
მათ შორის				
განზრახ მკვლელობა	7	247	7	279
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში	3	112	3	114
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	4	112	4	155
გაუპატიურება	-	40	1	44
ძარცვა	13	455	11	386
ყაჩაღობა	14	453	2	360
ქურდობა	175	3 176	246	3 562
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	106	2 087	90	2 284
ხულიგნობა	13	709	10	656
ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის	18	860	30	1 060
სხვა	730	9 020	1 022	9 614

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო.

2010 წელს მსჯავრდადებულთა რაოდენობა ძარცვის, ყაჩაღობის და ხულიგნობის დანაშაულის მიხედვით შემცირებულია 2009 წელთან შედარებით. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის და ქურდობის

შემთხვევები კი ორივე სქესის მიხედვით გაზრდილია, რაც ძირითადად განაპირობებს მსჯავრდადებულთა საერთო რაოდენობის ზრდას.

მსჯავრდადებულთა განაწილება ასაკის მიხედვით

	ერთეული			
	2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
მსჯავრდადებულთა, სულ	1 083	17 271	1 426	18 514
არასრულწლოვნები (14-17 წლის)	36	767	29	805
სრულწლოვნები (18+)	1 047	16 504	1 397	17 709

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო.

პატიმართა რიცხოვნობა

	ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
პატიმართა რიცხოვნობა*, სულ	771	17 888	967	20 272	1 174	22 510
სრულწლოვნები	770	17 609	962	20 021	1 171	22 307
არასრულწლოვნები	1	279	5	251	3	203

* 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა ახალი „პატიმრობის კოდექსი“, რომლის თანახმადაც პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული ყველა პირი აღინიშნება ტერმინით „ბრალდებულები და მსჯავრდებულები“. იგივე კატეგორია შეიძლება აღინიშნებოდეს ასევე ტერმინით - „პატიმრები“.

წყარო: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული

პატიმართა რიცხოვნობის მაჩვენებელი 2010 წელს 2009 წელთან შედარებით გაიზარდა და შეადგენს: ქალებში 21.4 პროცენტს, ხოლო კაცებში - 11.0 პროცენტს.

დაზარალებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები


	ერთეული			
	2007		2008	
	2009	2010	2009	2010
დაზარალებულ პირთა რაოდენობა, სულ	12 183	9 299	9 592	9 791
მათ შორის:				
ქალი	4 989	3 716	3 800	3 881
კაცი	7 194	5 583	5 792	5 910

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ

	ერთეული							
	2009				2010			
	მოძალადე მსხვერპლი		მოძალადე მსხვერპლი		მოძალადე მსხვერპლი		მოძალადე მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო, სულ	12	164	163	13	13	169	166	16
მ. შ. საქართველოს რეგიონების მიხედვით								
ქ. თბილისი და მცხეთა-								
მთიანეთი	8	135	133	10	5	116	110	11
აჭარის არ	1	17	16	2	2	21	22	1
იმერეთი	-	1	1	-	-	8	8	-
სამცხე-ჯავახეთი	-	1	1	-	1	3	4	-
შიდა ქართლი	-	-	-	-	1	2	3	-
ქვემო ქართლი	3	10	12	1	4	19	19	4

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში განთავსების
სტატისტიკა**

	ერთეული		
	2009	2010	2011 წლის მარტი
ქალი			
18-23	5	18	12
24-43	2	6	5
44+	2	10	5
არასრულწლოვანი	1	2	2
გოგო	5	22	17
ბიჭი	4	12	9
	1	10	8

წყარო: ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

ცხელი ხაზის მონაცემები ოჯახში ძალადობის საკითხებზე

2010 წლის 20 ოქტომბრიდან - 2011 წლის 1 მარტამდე, ერთეული

	ქალი	კაცი	<18	18-24	25-44	45+	არაიდენ-ტიფიცირებული
ოქტომბერი	1	-	-	1	-	-	-
ნოემბერი	7	-	-	-	2	4	1
დეკემბერი	45	8	-	-	24	17	12
იანვარი	117	10	1	4	50	53	19
თებერვალი	88	19	-	6	36	50	15
სულ	258	37	1	11	112	124	47

წყარო: ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

**ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფარში
განთავსების სტატისტიკა**

	ერთეული				
	2006	2007	2008	2009	2010
ქალი					
18-23	2	6	4	5	6
24-43	1	2	2	3	2
44+	1	3	1	1	2
კაცი	-	1	1	1	2
18-23	1	3	2	2	2
24-43	-	-	-	-	-
44+	-	1	1	2	2
არასრულწლოვანი	1	2	1	-	-
გოგო	-	1	3	3	2
ბიჭი	-	1	2	2	1
	-	-	1	1	1

წყარო: ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

მართვის მოწმობების გაცემის სტატისტიკა*

რეგიონი	ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო, სულ	13 633	129 569	11 461	96 228	19 156	129 852
აფხაზეთის არ	141	1 479	128	1 511	216	1 539
აჭარის არ	992	8 258	771	6 389	1 558	10 952
გურია	215	3 764	252	2 980	370	4 328
თბილისი	7 729	38 901	6 618	28 271	10 683	36 177
იმერეთი	1 768	20 258	1 403	15 443	2 313	20 049
კახეთი	638	10 002	531	8 570	906	12 144
მცხეთა-მთიანეთი	180	3 119	150	2 372	337	3 630
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	31	1 061	33	631	74	1 087
სამეგრელო-ზემო სვანეთი	611	8 914	630	8 069	1 026	10 472
სამცხე-ჯავახეთი	178	4 522	78	3 160	177	4 877
ქვემო ქართლი	731	20 426	537	12 422	830	15 710
შიდა ქართლი	419	8 865	330	6 410	666	8 887

* პირველად აღებული ან შეცვლილი

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ავტო საგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა

დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა, სულ	ერთეული	
	2010	
	ქალი	კაცი
	2 075	4 618

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სტატისტიკა*

რეგიონი	ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო, სულ	21 309	174 864	17 669	139 322	21 666	167 327
აფხაზეთის არ	638	4 967	718	4 344	874	5 172
აჭარის არ	1 281	11 985	1 131	9 547	1 626	13 096
გურია	209	2 641	206	2 378	272	3 040
თბილისი	12 939	71 134	10 155	52 763	11 762	60 001
იმერეთი	1 639	22 020	1 494	18 737	2 098	22 973
კახეთი	760	13 400	680	11 545	911	14 710
სამცხე-ჯავახეთი	560	6 322	391	4 272	480	5 462
მცხეთა-მთიანეთი	355	4 646	336	3 882	350	4 370
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50	677	32	658	65	904
სამეგრელო-ზემო სვანეთი	822	8 219	748	7 074	925	8 741
შიდა ქართლი	648	11 804	629	8 743	748	9 928
ქვემო ქართლი	1 408	17 049	1 149	15 379	1 555	18 930

* პირველად რეგისტრირებული ან გადაფორმებული

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

პირველად რეგისტრირებული ან გადაფორმებული ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ქალი მფლობელების რაოდენობა 2008-2010 წლებში, საშუალოდ ერთ წელზე კაცი მფლობელების რაოდენობის 12.6 პროცენტს შეადგენს.

ხელისუფლება

დეპუტატთა რიცხოვნობა საქართველოს პარლამენტში

ერთეული							
2007		2008		2009		2010	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
23	198	7	130	7	132	9	131

წყარო: საქართველოს პარლამენტის აპარატი.

2007-2010 წლებში საქართველოს პარლამენტში ქალი დეპუტატების რიცხოვნობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაცი დეპუტატების რიცხოვნობას. 2010 წელს ქალი დეპუტატების რიცხოვნობამ დეპუტატების საერთო რიცხოვნობაში მხოლოდ 6.4 პროცენტი შეადგენა.

დეპუტატთა რიცხოვნობა ფრაქციების მიხედვით საქართველოს პარლამენტში 2008-2010 წლების მოწვევა

	ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	6	93	6	94	8	92
ფრაქცია „საქართველოს რეგიონები-მაჟორიტარები“	-	16	-	16	-	16
ფრაქცია „ძლიერი საქართველო“	-	6	-	6	-	7
ფრაქცია „ქრიატიან-დემოკრატები“	1	6	1	6	1	6
დამოუკიდებელი დეპუტატები (ფრაქციის)	-	9	-	10	-	10

წყარო: საქართველოს პარლამენტის აპარატი.

მაჟორიტარი დეპუტატების რიცხოვნობა საქართველოს პარლამენტში 2008-2010 წლების მოწვევა

ერთეული					
2008		2009		2010	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
1	71	1	71	1	73

წყარო: საქართველოს პარლამენტის აპარატი.

საქართველოს პარლამენტის აპარატში დასაქმებულთა რიცხოვნობა

	31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სამტატო განრიგით	435	234	409	205	397	206
ხელშეკრულებით მომუშავე	147	174	154	184	157	180

წყარო: საქართველოს პარლამენტის აპარატი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დასაქმებულთა რიცხოვნობა

	31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	83	57	93	63	79	57

წყარო: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

საქართველოს მთავრობის შემადგენლობა

	ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველოს მინისტრები (სახელმწიფო მინისტრების ჩათვლით)	2	16	-	19	2	17
მინისტრის მოადგილეები	14	50	14	57	15	56

წყარო: საქართველოს მთავრობის კანცელარიის აპარატი.

**საქართველოს მთავრობის კანცელარიის აპარატში
დასაქმებულთა რიცხოვნობა**

	ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	102	132	111	132	60	83

წყარო: საქართველოს მთავრობის კანცელარიის აპარატი.

**საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
რიცხოვნობა**

	დეკემბრის მდგომარეობით, ერთეული							
	2007		2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	131	135	114	133	107	120	106	111

წყარო: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

**საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების
რიცხოვნობა**

	31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთეული					
	2005	2006	2007	2008	2009	2010
	ელჩები, სულ	33	35	38	34	44
მათ შორის:						
ქალი	6	5	4	5	6	5
კაცი	27	30	34	29	38	37

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

	1 იანვრის მდგომარეობით, ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	26	42	51	58	50	58

წყარო: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

	1 იანვრის მდგომარეობით, ერთეული					
	2008		2009		2010	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	155	225	164	216	164	216

წყარო: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ცნებები და განმარტებები

აბორტი – მუცლის ხელოვნური მოშლა, ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა და საშვილოსნოდან ნაყოფის გამოქვევება ორსულობის 22 კვირის შესრულებამდე.

ავადობის დონე – განისაზღვრება პირველად დადგენილი დიაგნოზით ავადმყოფთა რაოდენობის შეფარდებით მუდმივი მოსახლეობის საშუალო წლიურ რაოდენობასთან.

არასრულწლოვანი დამნაშავეები – პირები, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული 14-დან 18 წლამდე ასაკში.

აქტიურობის დონე – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი გამოითვლება, როგორც სხვაობა შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებს შორის.

განზრახ მკვლელობა – მკვლელობის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი ამ მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგს და სურდა ეს შედეგი, ან შეგნებულად უშვებდა მის დადგომას.

განქორწინება – წარმოადგენს ქორწინების რეგისტრაციის გაუქმების შედეგად საქორწინო წყვილის დაშლის პროცესს.

გარდაცვალების მიზეზები – ავადმყოფობები, პათოლოგიური ან ფიზიოლოგიური მდგომარეობები და ტრავმები, რომლებიც იწვევენ ან ხელს უწყობენ სიკვდილის დადგომას. აგრეთვე უბედური შემთხვევებისა და მალდატანებითი სიკვდილის ის გარემოებანი, რომლებმაც ტრავმის შედეგად გამოიწვიეს სიკვდილი.

დანაშაული ნარკომანიის სფეროში ითვალისწინებს განზრახ ქმედებებს, დაკავშირებულს ნარკოტიკული საშუალებების მოყვანასთან, დამზადებასთან, შექენასთან, შენახვასთან, გადაზიდვასთან, გადაგზავნასთან, მოხმარებასთან.

დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, მუშაობდა უსასყიდლოდ ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

დასაქმების დონე – დასაქმებულთა რიცხოვნობის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

დაქირავებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

დედათა მოკვდაობის საერთო კოეფიციენტი – გამოითვლება, როგორც ერთი წლის მანძილზე გარდაცვლილ დედათა თანაფარდობით ამავე წლის ცოცხლადშობილთა რიცხვთან და უჩვენებს რამდენი დედა გარდაიცვალა 100 000 ცოცხლად დაბადებულზე.

ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა (მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი), არ ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და/ან არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) – 15 წლის და უფროსი ასაკის დასაქმებული და უმუშევარი მოსახლეობა.

ექიმების რაოდენობა – მოიცავს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე ყველა ექიმს, რომელიც წლის ბოლოსათვის დასაქმებულია სამკურნალო და სანიტარულ ორგანიზაციებში,

სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, აგრეთვე სამედიცინო კადრების მოსამზადებელ დაწესებულებებში, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში და სხვ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა – განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის **I, II და III საფეხურები** – მოზარდი თაობის ორგანიზებული აღზრდისა და სწავლების სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები. დღის სკოლები იყოფა: დაწყებით, საბაზო და საშუალო სკოლებად. საშუალო სკოლებს მიეკუთვნებიან გიმნაზიები, ლიცეუმები, გონებრივი და ფიზიკური განვითარების ნაკლის მქონე ბავშვთა სკოლები.

თვითდასაქმებული – მესაკუთრე, რომლის საქმიანობის მიზანს საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღება. აგრეთვე, ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

თვითმკვლელობა – საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა.

მეურნეობა (სასოფლო მეურნეობა) – ეკონომიკური ერთეული, რომელიც ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, მიუხედავად მისი ზომისა, იურიდიული სტატუსისა, აქტივების მფლობელობის ფორმისა (საკუთარი თუ იჯარით აღებული) და წარმოების მიზნისა (რეალიზაცია თუ საკუთარი მოხმარება).

მეურნეობის მიწა (მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწა) – მიწა, რომელიც უშუალოდ ან არაპირდაპირ გამოიყენება მეურნეობის საქმიანობაში. შედგება მეურნის საკუთრებაში არსებული მიწისა და მეურნის მიერ იჯარით აღებული მიწისაგან, გარდა მათი იმ ნაწილისა (თუ ასეთი არსებობს), რომელიც სხვა პირზეა იჯარით გაცემული.

მეურნეობის ხელმძღვანელი – ფიზიკური პირი, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ან სხვა ტიპის მეურნეობის გაძღოლაზე.

მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა მიმდინარე პერიოდისათვის გამოითვლება შემდეგნაირად: საბაზოდ აიღება მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო აღწერის მიხედვით, მას ემატება ბუნებრივი (დაბადებულთა და გარდაცვლილთა სხვაობა) და მიგრაციული (ჩამოსულთა და წასულთა სხვაობა) მატება განვლილი პერიოდის განმავლობაში.

მომალადე – ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

მსჯავრდადებულთა რაოდენობა მოიცავს ფიზიკურ პირებს, რომელთა მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

ოჯახის წევრი – ოჯახური ძალადობის კანონის მიზნებისთვის დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი – ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება.

პენსიონერი ასაკით – 60 წელზე უფროსი ასაკის ქალი და 65 წელზე უფროსი ასაკის კაცი, რომელსაც დანიშნული აქვს პენსია.

სამეწარმეო საქმიანობა საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ" განისაზღვრება როგორც მართლზომიერი და არაერთგვარადი საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე და ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი – განისაზღვრება საანგარიშო პერიოდში დარიცხული ხელფასის (შრომის ანაზღაურების) ფონდის გაყოფით ამავე პერიოდში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობაზე.

საწარმო – ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს

საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს). საწარმო ახორციელებს ერთ ან რამოდენიმე საქმიანობის სახეს, ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით. საწარმო შეიძლება იყოს ინდივიდუალური (ფიზიკური) ან იურიდიული პირი.

საწარმოები ზომის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე. **მსხვილ საწარმოებს** განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ ლარს. **საშუალო ზომის საწარმოებს** მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე. **მცირე ზომის საწარმოებს** მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს.

საცხოვრისი – ოთახი ან ოთახების ერთობლიობა და მათი მიმდებარე სათავსოები (მაგალითად ჰოლი, დერეფანი) კაპიტალურ ნაგებობაში ან ნაგებობის განცალკევებულ ნაწილში, რომლებიც გათვალისწინებულია მთელი წლის განმავლობაში ერთი შინამეურნეობის საცხოვრებლად. საცხოვრისს უნდა გააჩნდეს ცალკე გასასვლელი ქუჩაში (უშუალოდ, ან ბადის, ან ეზოს მეშვეობით), ან საერთო უჯრედში შენობის შიგნით. მას შესაძლოა არ გააჩნდეს საკუთარი სააბაზანო ან ტუალეტი.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაზადებისას – წლების რაოდენობა, რომელსაც საშუალოდ იცოცხლებს ერთი ადამიანი დაზადებულთა თაობიდან იმ პირობით, რომ მოკვდაობის დონე ყოველ ასაკში დარჩება ისეთი, როგორც არის მოცემულ პერიოდში.

ტრეფიკინგი (ადამიანით ვაჭრობა) – ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ან/და სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან/და მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

უმაღლესი განათლების პირველი ეტაპი – განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის **V საფეხური** – საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ საშუალო ზოგადი განათლების შემდგომ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას (ბაკალავრიატი, უმაღლესი პროფესიული პროგრამები) და ბაკალავრიატის შემდეგ დონეს – მაგისტრატურას.

უმაღლესი განათლების მეორე ეტაპი – დიპლომის შემდგომი სწავლების სისტემა (დოქტორანტურა) – განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის **VI საფეხური** – უზრუნველყოფს განათლების მიღებას უმაღლესი განათლების შემდეგ. სწავლება მიმდინარეობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მთავრდება დისერტაციის დაცვით მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

უმუშევარი – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი), ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი ორი კვირის განმავლობაში.

უმუშევრობის დონე – უმუშევართა რიცხოვნობის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

ქორწინება – კანონით ან ჩვეულებით ნებადართული კავშირი ქალსა და კაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქურდობა – სხვისი ქონების ფარული გატაცება.

ყაჩაღობა – თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლის, ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა.

შინამეურნეობა – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით. შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისაგანაც.

შინამეურნეობის შემოსავლები – წარმოადგენს მოცემულ პერიოდში შინამეურნეობის წევრების მიერ ყველა წყაროდან მიღებული ინდივიდუალური და ერთობლივი შემოსავლების ჯამს. მოიცავს ფულად (დაქირავებით შრომიდან, თვითდასაქმებიდან, საკუთარ მამულში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან, საკუთრების გაქირავებიდან, სარგებელს ანაზრადან, ქვეყნის შიგნით და გარეთ მყოფი ახლობლების საჩუქრებს, სამომხმარებლო ხარჯების გაწევის მიზნით ფულის სესხებას, დანაზოგის გამოყენებას და სხვ.) და არაფულად შემოსავლებს (საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული, ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლისაგან უსასყიდლოდ მიღებული სასურსათო პროდუქტების ღირებულება).

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი – მოცემული დროის პერიოდში გარკვეული ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი – ერთი ქალის მიერ ფერტილურ ასაკში (15-49) დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა. ეს მაჩვენებელი გამოიანგარიშება შობადობის

ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამის გაყოფით 1000-ზე.

ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი გამოითვლება 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობის შეფარდებით ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობასთან.

ცოცხლად დაბადება – ბავშვის დაბადება ცოცხლად. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტული განმარტების მიხედვით, ცოცხლად დაბადება წარმოადგენს დედის ორგანიზმიდან ჩასახვის პროდუქტის სრულ გამოყოფას ორსულობის ხანგრძლივობის მიუხედავად. ამასთან ნაყოფი ასეთი გამოყოფის შემდეგ უნდა სუნთქავდეს ან უნდა ამჟღავნებდეს სიცოცხლის ნებისმიერ სხვა ნიშნებს (გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია ან კუნთების თვითნებური შეკუმშვა) მიუხედავად იმისა, გადაჭრილია თუ არა ჭიპლარი და განცალკევებულია თუ არა პლაცენტა.

პარცვა – სხვისი ქონების აშკარა გატაცება.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია

A	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა
B	თევზჭერა, მეთევზეობა
C	სამთომოპოვებითი მრეწველობა
D	დამამუშავებელი მრეწველობა
E	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება
F	მშენებლობა
G	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი
H	სასტუმროები და რესტორნები
I	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა
J	საფინანსო საქმიანობა
K	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა
L	სახელმწიფო მმართველობა
M	განათლება
N	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება
O	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა
P	შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის
Q	ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა

სტატისტიკური პუბლიკაცია ”ქალი და კაცი საქართველოში”

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის გაეროს ქალთა ფონდს (ქ-ნი თამარ საბედაშვილი) და აზიის განვითარების ბანკს (ქ-ნი ქეთევან ჩხეიძე), რომელთა მხარდაჭერითაც მომზადდა და დაიბეჭდა პუბლიკაცია.

რედაქტორი: თენგიზ ცეკვაძე

პასუხისმგებელი გამოცემაზე: გიორგი კალაკაშვილი
ლია ჩარეიშვილი

კრებულის მომზადებაში მონაწილეობდნენ: გიორგი კალაკაშვილი
ლია ჩარეიშვილი
ალექსანდრე არაბული
ირმა გვილავა
გოგიტა თოდრაძე
ნატო კოპალეიშვილი
ელენე მარუაშვილი
მანანა ტაბატაძე
თინათინ ქსოვრელი
პაატა შავიშვილი
ვასილ წაქაძე
ფიქრია ხვიჩია

დაკაბადონება, დიზაინი: ალექსანდრე არაბული

გამომცემლობა:
ტირაჟი: 500

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, წყნეთი, 0181, გურამიშვილის ქ. 39

ტელ.: 236 72 10 , შიდა 605/602
ფაქსი: 236 72 13
ელ. ფოსტა: info@geostat.ge

ვებ-გვერდი: www.geostat.ge

შენიშვნები